12/02/2026

MES 6 26 0000155345

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 29 იანვარს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83069412914
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სოფიკო ბექირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნათია მაწკეპლაძე
მამუკა ქათამაძე
ირმა ღარიბაშვილი
თინათინ მეფარიშვილი
ავთანდილ გეგენავა
ალინა კუპრავა
დავით კუპატაძე
ინგა ბოჭოიძე
ზაალ ხელაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბარაკონი
დირექტორი – გიორგი ფოფხაძე
დირექტორის მოადგილე – ნინო ბოკერია
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – ნინო ჭითანავა
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი – ნინო ხაჩიძე

შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
აღმასრულებელი დირექტორი/დამფუძნებელი – შარაბიძე ირაკლი
დამფუძნებელი – მიქელაძე თამაზი
კოლეჯის ხელმძღვანელი – ორაგველიძე ნინო
პროგრამის ხელმძღვანელი – გოგიტიძე გელა
ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი – ღოღობერიძე ლანა
სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი – ვერძაძე ანნა
სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი – შარაბიძე ნინო
საქმისწარმოების მენეჯერი – ბარამიძე ნინო
იურისტი-ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი – თურმანიძე ილონა

სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნათია ევგენიძე

ა(ა)იპ – ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - თედო სანიკიძე
სოფლის განვითარების და პროფესიული
სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ნანა ქაშაკაშვილი

სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - ქეთევან რუხაძე
შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი - ნუკრი მელექსიშვილი
ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი - სალომე ჟორჟოლიანი
პროფესიული სწვალების ხარისხის მენეჯერი - ნესტან ინასარიძე
ხარისხის უღუნველყოფის სამსაზურის ხელმძღვანელი - დავით წასიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნიკა გიგაური
ხარიახის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - მარიამ კეკელიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - ლუკა ბერაია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. 2026 წლის 15 იანვრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული, „შპს ბარაკონის ავტორიზაციის შესახებ“, გადადებული საკითხის და დაწესებულებისგან წარმოდგენილი დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის განხილვა;
2. შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერისთვის“ „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ ქ. ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ ქ. ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ დაბა ხულოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ – ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: 2026 წლის 15 იანვრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული „შპს ბარაკონის ავტორიზაციის შესახებ“ გადადებული საკითხის და დაწესებულებისგან წარმოდგენილი დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პირველი საკითხი, რომელიც ეხებოდა შპს „ბარაკონის“ ავტორიზაციის შესახებ გადადებული საკითხის განხილვას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა წერილი და თანდართული შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამობა) გამოსწორების საბოლოო ვადად მითითებულია 2026 წლის 15 სექტემბერი. ცენტრმა შემოსული დოკუმენტაცია მიაწოდა საბჭოს. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაეფიქსირებინათ პოზიცია აღნიშნულ ვადასთან და ზოგადად, წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პოზიციის დაფიქსირებამდე მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულების წარმომადგენლების მოსმენა და მათგან დამატებითი ინფორმაციის მიღება. საბჭოს სხვა წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას.

შპს „ბარაკონის“ წარმომადგენლმა ნინო ხაჩიძემ ისაუბრა კოლეჯში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვისა და ევაკუაციის გეგმები, რომლებიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და ახლდება ყოველწლიურად. ასევე, შენობა აღჭურვილია აუცილებელი სახანძრო ინვენტარით (ცეცხლმაქრები, დეტექტორები, სიგნალები). ფუნქციონირებს შიდა ჰიდრანტი, რომლის წნევა და მოცულობა შეესაბამება ნორმებს. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 25 ივლისს ჩატარდა შიდა სისტემის შემოწმება, რომელმაც ხარვეზები არ გამოავლინა. შრომის ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაცემულია დადებითი დასკვნა. კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, პერსონალი აღჭურვილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და დაცულია კოლექტიური უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის ელექტროგაყვანილობა.
რაც შეეხება გარე ჰიდრანტის საკითხს, რაც ავტორიზაციის შეფერხების ძირითადი მიზეზია, ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ დაზუსტებული ინფორმაციით, ცენტრალურ მაგისტრალურ მილზე დაერთება საჭირო აღარ არის, რადგან კომპანია „GWP-ის“ (Georgian Water and Power) ტექნიკური პირობით შესაძლებელია ჰიდრანტის დამონტაჟება შენობასთან არსებულ 100 მმ-იან

მილზე. როგორც ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, დაწესებულებამ უკვე მიიღო „GWP-სგან“ წყალმომარაგების ტექნიკური პირობა და მიმდინარეობს პროექტირების ეტაპი, რომელიც დასრულების ფაზაშია. პროცესის შემდგომი ნაბიჯები მოიცავს: პროექტის შეთანხმებას „GWP-სთან“, ჰიდრანტის მონტაჟს, აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) მოწყობას და საბოლოოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან შესაბამისი დასკვნის მოთხოვნას. აღნიშნული პროცედურების დასრულების სავარაუდო ვადად, 2026 წლის საგაზაფხულო მიღების გათვალისწინებით, განისაზღვრა 15 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე დაინტერესდა წინა პერიოდში (2025 წლის 13 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე) განხორციელებული სამუშაოებით. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია მხოლოდ კორექტირებული გეგმა ვადის გადაწევით, თუმცა არ ჩანს კონკრეტული მტკიცებულებები (მაგალითად, მიმოწერა), რაც დაადასტურებდა, რომ პროცესი ამ თვეების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა.

ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ თავდაპირველად განიხილებოდა 200 მეტრის რადიუსში არსებული გარე ჰიდრანტის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა მოგვიანებით „GWP-სთან“ კომუნიკაციის და საკანონმდებლო მოთხოვნების დაზუსტების შედეგად გამოიკვეთა ინდივიდუალური გარე ჰიდრანტის მოწყობის აუცილებლობა, რამაც გამოიწვია გეგმის ცვლილება.

საკითხთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება გააკეთა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჭითანავამ. მან აღნიშნა, რომ 15 იანვრამდე არსებული ყველა მიმოწერა წარმოდგენილი იყო თვითშეფასების ანგარიშთან ერთად. რაც შეეხება ახალ გარემოებას – „GWP-სგან“ მიღებულ წერილს, რომელიც ადასტურებს პროცედურების გამარტივებას (ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთების საჭიროების არარსებობას), იგი დაწესებულებამ მიიღო მიმდინარე წლის 27 იანვარს, შესაბამისად, 22 იანვარს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ეს დოკუმენტი ვერ აისახებოდა.

ელენე კაკაბაძემ უკმაყოფილება გამოთქვა პროცესის ტემპთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტექნიკური დეტალების გარკვევას დაწესებულებამ დაახლოებით 7 თვე მოანდომა. მან ასევე შენიშნა, რომ 27 იანვარს მიღებული წერილი დაწესებულებას შეეძლო დამატებით წარმოედგინა საბჭოსთვის სხდომის დაწყებამდე.

ნინო ხაჩიძემ დეტალურად ისაუბრა კომპანია „GWP-სთან“ კომუნიკაციის სირთულეებზე. მან აღნიშნა, რომ კორესპონდენციის წარმოება დროში გაწელილი პროცესია, სადაც პასუხის მიღებას ხშირად კვირები სჭირდება. წარმომადგენლის განმარტებით, თავდაპირველი მითითება ეხებოდა ცენტრალურ მაგისტრალურ მილზე დაერთებას, თუმცა დაწესებულების ინიციატივითა და დამატებითი მოკვლევით, მოხერხდა შეთანხმება უფრო მარტივ ტექნიკურ გადაწყვეტაზე (100 მმ-იან მილზე დაერთება), რაც არ საჭიროებს გზის საფარის დაზიანებასა და მერიის ნებართვას.

ელენე კაკაბაძემ დასვა კითხვა ვადების შესახებ, თუკი ტექნიკური გადაწყვეტა გამარტივდა, რა საჭიროა პროცესის 8 თვით, სექტემბრამდე გახანგრძლივება. პასუხად ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ ვადა მოიცავს რამდენიმე ბიუროკრატიულ ეტაპს: პროექტის შეთანხმება „GWP-სთან“ (შესაძლო ხარვეზების გასწორების გათვალისწინებით); ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის გამოძახება მონტაჟის პროცესში; აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) მოწყობა (რისთვისაც კომპანიას 30 კალენდარული დღე აქვს); საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინსპექტირება და დასკვნის გაცემა (დამატებით 30 დღე). მისი თქმით, 2026 წლის 15 სექტემბერი აღებული იქნა მაქსიმალურ ზღვრად, თუმცა დაწესებულება გეგმავს პროცესის დასრულებას საგაზაფხულო მიღებისთვის.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დეტალურად არ იყო გაწერილი ეტაპები და დაინტერესდა, არსებობს თუ არა „GWP-სთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ „GWP-ს“ სტანდარტის მიხედვით, წინასწარი ხელშეკრულება არ ფორმდება. ხელშეკრულება იდება უშუალოდ სამუშაოების წარმოების/მონტაჟის კონკრეტულ ეტაპზე, როგორც ეს ტექნიკურ პირობაშია გაწერილი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა დასვა რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვა. იგი დაინტერესდა, აფერხებს თუ არა გარე ჰიდრანტის არარსებობა სასწავლო პროცესს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სასწავლო პროცესს საფრთხე არ ემუქრება, რადგან შიდა უსაფრთხოების სისტემები (შიდა ჰიდრანტი, სიგნალიზაცია, ევაკუაციის გეგმა) სრულ წესრიგშია. მან ასევე იკითხა.არსებობს თუ არა ალტერნატიული გეგმა. ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ წყალმომარაგების სფეროში „GWP“ არის მონოპოლისტი, შესაბამისად, მისი გვერდის ავლით კანონიერი გზით ჰიდრანტის მოწყობა შეუძლებელია. ეკატერინე გიგაშვილმა იკითხა, თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი „GWP-ს“ უახლესი წერილი მტკიცებულების სახით. მისი თქმით ტექნიკური პირობის შემცველი წერილის გაცნობა მოხსნიდა კითხვების უმეტესობას. დაწესებულების წარმომადგენელმა მზადყოფნა გამოთქვა, სხდომის მიმდინარეობისთანავე გაუზიაროს საბჭოს აღნიშნული დოკუმენტი, სადაც გაწერილია ტექნიკური დეტალები (100 მმ-იანი მილი, 5 ბარი წნევა, მასალების სტანდარტები).
ეკატერინე გიგაშვილმა დადებითად შეაფასა დაწესებულების მზაობა და აღნიშნა, რომ დოკუმენტის დროული წარმოდგენა გაამარტივებდა განხილვის პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დააფიქსირა პოზიცია წარმოდგენილ ვადებთან (2026 წლის 15 სექტემბერი) დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა, რომ უსაფრთხოების საკითხები პირდაპირ კავშირშია სტუდენტთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან, რის გამოც, ხარვეზის გამოსწორების თითქმის ერთწლიანი გადავადება მისთვის მიუღებელია. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა გამოეჩინა მეტი პასუხისმგებლობა და დროულად დაეწყო პროცედურები, მსგავსად სხვა კოლეჯებისა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ავტორიზაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ხაჩიძემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჭითანავამ კიდევ ერთხელ განმარტეს, რომ პროცესის გაჭიანურება გამოწვეულია წყალმომარაგების კომპანიის (GWP) ბიუროკრატიული პროცედურებითა და რეგულაციების ცვლილებით. კერძოდ, ახალი რეგულაციით, დაწესებულებას აეკრძალა სხვა სუბიექტის მფლობელობაში არსებული ჰიდრანტით სარგებლობა ხელშეკრულების საფუძველზე.

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა შპს „ბარაკონის“ დირექტორმა, გიორგი ფოფხაძემ. მან აღნიშნა, რომ კოლეჯის შენობიდან 30 მეტრში, მოპირდაპირე მხარეს, მდებარეობს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კუთვნილი გარე ჰიდრანტი. ფიზიკურად, საგანგებო სიტუაციის დროს სახანძრო სამსახურს შეუძლია მისი გამოყენება, თუმცა იურიდიულად, ავტორიზაციის მიზნებისთვის, GWP არ გასცემს თანხმობას კერძო ჰიდრანტის გაზიარებაზე.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ კოლეჯის შიდა უსაფრთხოების სისტემები (დეტექტორები, ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გეგმა, შიდა ჰიდრანტი) სრულ წესრიგშია, რაც ამცირებს მყისიერ რისკებს. აღნიშნული გარემოებისა და დაწესებულების მიერ დაწყებული სამუშაოების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საკითხზე შეჯერებული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

- დაწყების დრო: 12:57 საათი.
- დასრულების დრო: 13:08 საათი.

სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2026 წლის 15 იანვრის სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული, გადადებული საკითხი – შპს „ბარაკონის“ ავტორიზაციის შესახებ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (რომლის თანახმად, საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ის მხარდაჭერით), ხმების უმრავლესობით (6 დამსწრე წევრიდან 5 მომხრე) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს ბარაკონს (ს/კ: 204877231) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს ბარაკონში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული პირობის შესრულების გადამოწმების მიზნით, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვა, ადგილზე ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 17 სექტემბერი.

მეორე საკითხი: შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერისთვის“ „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ – განათლების ხარისხი 2025 წლის დეკემბრის ბრძანების № 1715523 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 22 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერში“. მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 4ა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს.
ჯგუფის ხელმძღვანელმა, თინათინ მეფარიშვილმა საბჭოს გააცნო შეფასების შედეგები. მან დადებითად შეაფასა ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობა, ხაზი გაუსვა დაწესებულების მიერ დოკუმენტაციის მოწესრიგებულად წარმოდგენას, ადმინისტრაციის გუნდურ მუშაობასა და მაღალ ჩართულობას. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება სრულად იზიარებს დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ (მე-4 დონე) სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან. ხარვეზები ან რეკომენდაციები (როგორც შესაბამისობის, ისე განმავითარებელი) არ გამოვლენილა.
ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მისი თქმით, დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ვალიდური მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, ასევე სააუდიტორიო ფართის გამტარუნარიანობას. ინდიკატორები 2.1.1.2 და 2.1.1.3 შეფასდა დადებითად. კოლეჯს გააჩნია საკუთარი საგამომცემლო ბაზა და გამოცემული აქვს დარგობრივი სახელმძღვანელოები (მაგ: „საზღვაო ინგლისური საგემბანე განყოფილების მეზღვაურთათვის“, წიგნები საზღვაო ვაჭრობის შესახებ და სხვ.), რაც ექსპერტთა მიერ შეფასდა საუკეთესო პრაქტიკად. დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, სადაც სრულად არის გაციფრულებული აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესები (საგამოცდო პროცესი, ლექციების განრიგი, მოდულები), რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სწავლებასა და ადმინისტრირებას.
თინათინი მეფარიშვილის განმარტებით, დაწესებულებას გააჩნია საკუთარი, უნიკალური პრაქტიკის ობიექტი. გაფორმებულია მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ და „შავი ზღვის ტერმინალი“ (ყულევის ნავთობტერმინალი). ხელშეკრულებები ფარავს მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას. მოქმედებს პრაქტიკის დღიურის წარმოების ეფექტური მექანიზმი. საზღვაო პრაქტიკა გრძელდება 3 თვე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტზე გაიცემა 6-თვიანი ნაოსნობის დამადასტურებელი ცნობა.
ექსპერტის თქმით, კოლეჯში მოწყობილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი სიმულაციური ცენტრი, რომლის გამართულობა დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში. თინათინ მეფარიშვილი შეაჯამა, რომ პროგრამის დამტკიცების პროცედურები, სახელწოდება და შინაარსი სრულ თანხვედრაშია კანონმდებლობასთან და ინდიკატორი 2.1.4, ისევე როგორც მთლიანად მეორე სტანდარტი, არის სრულ შესაბამისობაში.
ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი განცხადებით: დაწესებულების საკუთრებაშია დაახლოებით 1900 კვ.მ ფართობის მქონე პრაქტიკის ობიექტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად (მათ შორის: ხანძართან ბრძოლა, პირადი გადარჩენა, სამაშველო კატარღის ოპერირება, გარემოს დაცვა, სამღებრო საქმე და სხვ.). თეორიული სწავლების სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. სასწავლო პროცესი გრძელდება 36 კვირა, ხოლო საწარმოო პრაქტიკა მოიცავს 12 კვირას, რომელიც მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში (მცურავ საშუალებაზე).
არსებული რესურსების გათვალისწინებით, პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 192 სტუდენტით. მიღება გადანაწილდება ორ წელიწადზე: 96 სტუდენტი პირველ წელს და 96 სტუდენტი მეორე წელს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.
თინათინ მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი (7 ზოგადი და 10 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი). თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი (დუბლირების პრინციპი), რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობას და უწყვეტობას. პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება აქტიურად ზრუნავს თანამშრომელთა კარიერულ განვითარებაზე, რეგულარულად ტარდება ტრენინგები და გადამზადების კურსები. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია და აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარების პროცესში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური (წიგნადი ფონდი), ისე ციფრული რესურსები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით და სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ კატალოგთან, რომელიც ასევე განთავსებულია ვებგვერდზე. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების ეფექტური სისტემა (PDCA ციკლი), ხორციელდება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) რეგულარული გამოკითხვა. ფუნქციონირებს ხარისხისა და უსაფრთხოების საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ, განიხილავს შიდა აუდიტის შედეგებს და გეგმავს მაკორექტირებელ ღონისძიებებს. პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს (მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგს). ინდიკატორები 2.3.1.1 და 2.3.1.2 სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

ექსპერტმა განმარტა ინდიკატორ 2.1.1.6-თან დაკავშირებული საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ზოგადად ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა წვდომას რესურსებზე, კონკრეტულად „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამაზე სსსმ პირთა მიღება შეზღუდულია. ეს განპირობებულია მეზღვაურის პროფესიის სპეციფიკით, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო საზღვაო ნორმებით, რომლებიც წინაპირობად ითხოვს ჯანმრთელობის სპეციალურ შემოწმებას. პროგრამის ფინანსური მდგრადობა (ინდიკატორი 2.2.1.7) შეფასდა დადებითად. აღინიშნა, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ დაწესებულება ისარგებლებს ვაუჩერული დაფინანსების სისტემით.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობას, რომელიც ეფუძნება „დემინგის ციკლს“ (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე). ტარდება სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სისტემატური გამოკითხვა. კვლევის შედეგები არ არის ფორმალური ხასიათის; ისინი მუშავდება ხარისხის მენეჯერის მიერ და რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ექსპერტის თქმით, ხარისხის სახელმძღვანელო სრულ შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

თინათინ მეფარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, რაც ორიენტირებულია სტუდენტზე. ეს დადასტურდა სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად. ასევე, პერსონალი გადამზადებულია სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიებში. არსებობს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმები.

ექსპერტმა ისაუბრა პრაქტიკული სწავლებასა და უსაფრთხოებაზე. მან თქვა, რომ პრაქტიკული მეცადინეობების დროს 24-კაციანი ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად (12-12 სტუდენტი), სადაც მონაცვლეობით ხდება დავალების შესრულება და დაკვირვება, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. შრომის უსაფრთხოების ნორმები (ინდიკატორი 2.4.1.6) მკაცრად არის დაცული როგორც კოლეჯის ტერიტორიაზე, ისე პარტნიორ ორგანიზაციებში („ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, „შავი ზღვის ტერმინალი“).

დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის გამართული მექანიზმები. შეფასების შედეგები, მათ შორის პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული შეფასებები, გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის. დოკუმენტაცია ინახება 3 წლის ვადით.

პრეზენტაციის დასასრულს, თინათინ მეფარიშვილმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა, სადაც ასახული იყო: სასწავლო აუდიტორიები და აღჭურვილობა; საკუთრებაში არსებული პრაქტიკის ობიექტი და ინვენტარი; ბიბლიოთეკა, სახელმძღვანელოები და რიდერები და სიმულაციური ცენტრები.

ძირითადი მოხსენების დასრულების შემდეგ, სიტყვა ითხოვა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დარგის ექსპერტმა ავთანდილ გეგენავამ. მან სრულად დაადასტურა ჯგუფის ხელმძღვანელის, თინათინ მეფარიშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერი“ წარმოადგენს

თანამედროვე სტანდარტების მქონე სასწავლებელს, რომელიც ორიენტირებულია განვითარებასა და მაღალი ხარისხის მიღწევაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაესვათ შეკითხვები ექსპერტთა ჯგუფისა თუ დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა და წარმოდგენილი პრეზენტაცია იყო ამომწურავი, რის გამოც საკითხი დამატებით დაზუსტებას არ საჭიროებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერს“ (ს/კ: 445593705) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 იანვარი.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ ქ. ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნათია მაწკეპლაძემ, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 9 დეკემბრის № 1758868 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატერის ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.
ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნათია მაწკეპლაძემ საბჭოს გააცნო 2025 წლის 22 დეკემბერს კოლეჯ „ახალ ტალღაში“ განხორციელებული ვიზიტის შედეგები. მისი განცხადებით, ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში, წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, მეორე სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამები) შეფასებულია, როგორც „სრულად შეესაბამება“ მოთხოვნებს. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „შედუღება“

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ინდიკატორ 2.4.2.2-თან მიმართებით გაცემულ ერთ განმავითარებელ რეკომენდაციაზე. კერძოდ, დაწესებულებაში მოქმედებს ორი მარეგულირებელი დოკუმენტი: „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ (რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციას და ნაწილობრივად, ვალიდაციას) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (რომელიც, ასევე, არეგულირებს ვალიდაციას). ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას ურჩია პროცესების მკაფიო გამიჯვნა: ვალიდაციის პროცედურები სრულად გაიწეროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო ვერიფიკაცია – ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რაც თავიდან ააცილებს დუბლირებას და გაზრდის სისტემის ეფექტიანობას.

ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა ინდიკატორების შესაბამისობა:
ინდიკატორი 2.1.1.1 – პროგრამა „შედუღება“ პასუხობს აჭარის რეგიონში სამშენებლო-ინდუსტრიული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.1.1.2 – პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც რეგულირდება დირექტორის ბრძანებით.
ინდიკატორი 2.1.1.3 – წარმოდგენილი მეთოდოლოგიით დასაბუთებულია 30 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა (ორცვლიანი სწავლების პირობებში). პროცესში ჩართულია 14 პროფესიული მასწავლებელი.

ინდიკატორები 2.1.1.4 და 2.2.1.1 – დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა: A და B გარემო, თითოეული გათვლილია 15 სტუდენტზე, აღჭურვილია კომპიუტერებით, ინტერნეტითა და საპრეზენტაციო ტექნიკით. ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსები. ასევე, აქვთ C გარემო, რომელიც გათვლილია 15 სტუდენტზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორები 2.1.1.5, 2.1.1.7, 2.1.1.8 – პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს „ლითონების აირალური შედუღება, ჭრა და პლაზმური ჭრა“. პროგრამის სახელწოდება, მიზნები და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და პროფესიულ სტანდარტთან.
ინდიკატორი 2.1.1.6 – პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის (დირექტორის) მიერ 2025 წლის 10 ოქტომბერს, დადგენილი მეთოდოლოგიის დაცვით.
ნათია მაწკეპლაძემ სხდომაზე წარმოადგინა A და C გარემოების ამსახველი ფოტომასალა, რითაც ვიზუალურად დადასტურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობა. მან ასევე დეტალურად ისაუბრა ადამიანურ და ფინანსურ რესურსებზე: პროგრამაში ჩართულია 14 პროფესიული მასწავლებელი (11 ზოგადი და 3 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი). დანერგილია ჩანაცვლების სისტემა – თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი. ორცვლიანი სწავლების პირობებში კვირეული დატვირთვა არ აღემატება 30-32 საათს. პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება (ტრენინგები) დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება. ბიუჯეტი გათვლილია რეალისტურად. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, რაც ფარავს ხელფასებს, ნედლეულის/მასალების ხარჯებსა და პერსონალის განვითარებას.
კოლეჯი უზრუნველყოფილია მატერიალური და ელექტრონული რესურსებით, ასევე წვდომით საკანონმდებლო მაცნეზე. მოქმედებს ინკლუზიური განათლების რეგულირების წესი. კოლეჯის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ხარისხის მართვა ეფუძნება შინაარსობრივ შეფასებას, რესურსების ანალიზსა და დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) გამოკითხვას. პროგრამის განვითარება ხდება როგორც შიდა ინიციატივით, ისე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით. სასწავლო გეგმა სტრუქტურულად გამართულია. სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რეალურ სამუშაო პირობებთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში. ექსპერტის თქმით, შრომის უსაფრთხოების წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხდება სტუდენტების ინფორმირება. შეფასების ინსტრუმენტები გადის ვალიდაციას (ტექნიკურ და შინაარსობრივ შემოწმებას). მოქმედებს შედეგების გაცნობისა და გასაჩივრების გამჭვირვალე პროცედურები. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე დაინტერესდა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციის დეტალებით. კერძოდ, ითხოვა დაზუსტება, იყო თუ არა ვალიდაციის მექანიზმის შესახებ ჩანაწერი იდენტური ორ სხვადასხვა დოკუმენტში („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“). ნათია მაწკეპლაძემ დაადასტურა, რომ ჩანაწერები იყო იდენტური და დუბლირებული, რის გამოც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროცესების ეფექტიანობისთვის ვალიდაცია დარეგულირდეს მხოლოდ ერთ დოკუმენტში.
საბჭოს სხვა წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ ქალაქ ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „შედუღება“ დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“(ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება ქ. ქობულეთში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 იანვარი.

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ ქ. ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის № 1748570 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2025 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ (ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოების, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „მეფუტკრეობა“

ნათია მაწკეპლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღჭურვილია პროგრამისთვის აუცილებელი ინვენტარით, მათ შორის: რუტის ტიპის სკის კომპლექტებით, ჩარჩოს სახვრეტი მოწყობილობებით, სასწორებით (მათ შორის სკის ასაწონი პლასტიკის სასწორებით), თაფლის შესანახი 25-კილოგრამიანი კონტეინერებითა და უჟანგავი მასალის რეზერვუარებით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, კოლეჯს დამატებით აღებული აქვს მეურნეობა სოფელ წყავროკაში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა აღნიშნული სივრცე და დაადასტურა, რომ არსებული რესურსი სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტის განცხადებით, სასწავლო პროცესი წარიმართება ხუთდღიანი გრაფიკით, ორ ცვლაში, რაც იძლევა მოთხოვნილი რაოდენობის – 26 პროფესიული სტუდენტის გატარების შესაძლებლობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის 4 პროფესიული და 6 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი). ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს, რაც დადასტურდა პირადი საქმეების შესწავლით და გასაუბრებით. მასწავლებლები და ადმინისტრაცია აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელიც წარიმართა სამუშაო ჯგუფის ფორმატში. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები. პროგრამის ფინანსური გათვლები ემყარება ვაუჩერულ დაფინანსებას. რენტაბელობის ზღვარად განსაზღვრულია 9 სტუდენტი. ბიუჯეტი ითვალისწინებს პედაგოგთა შრომის ანაზღაურებას, ნედლეულის/მასალების ხარჯებსა და გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
საბჭოს წარედგინა ვიზუალური მტკიცებულებები (ფოტომასალა), სადაც ასახული იყო როგორც თეორიული სწავლების A გარემო (აღჭურვილი კომპიუტერებით), ისე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა და სივრცე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ ქალაქ ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „მეფუტკრეობა“ დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება ქ. ქობულეთში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 იანვარი.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ დაბა ხულოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძემ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის № 1750141 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში (დაბა ხულოში) „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2025 წლის 23 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ (დაბა ხულო, შავაძის N3). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოების, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „მეფუტკრეობა“

ჯგუფის დასკვნით, პროგრამა და რესურსები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. პროგრამა განხორციელდება დაბა ხულოში. მოთხოვნილია 12 პროფესიული სტუდენტის მიღება. გამოყოფილია ერთი A და ერთი C გარემო, რომლებიც გათვლილია 12 სტუდენტზე და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული საფუტკრე მეურნეობა დაბა ხულოში, სოფელ დეკანაშვილებში, სადაც განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამაში ჩართულია 6 პროფესიული მასწავლებელი (3 პროფესიული და 3 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი). ექსპერტმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია და კომპეტენცია სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება პირადი საქმეებითა და გასაუბრების შედეგებით. პერსონალს გავლილი აქვს დარგობრივი ტრენინგები. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია 2025 წლის 6 ნოემბრის ბრძანებით და ფლობს სათანადო კომპეტენციას. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 9 სტუდენტს. საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა დაბა ხულოში არსებული სასწავლო გარემოს (A და C სივრცეები), ინვენტარის, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უსაფრთხოების წესებისა და სოფელ დეკანაშვილებში არსებული საფუტკრე მეურნეობის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების დასმისთვის. საბჭოს წევრებს საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ დაბა ხულოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „მეფუტკრეობა“ დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღისთვის“ დაბა ხულოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მეფუტკრეობა“ დამატების შესახებ პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დაბა ხულოში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 იანვარი.

მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ – ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ა(ა)იპ – ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების— 31-ე

მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 18/11/2025 წლის №1635841 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა მიმდინარე წლის 3, 4 და 5 დეკემბერს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების— 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, დაწესებულებაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებას. ვიზიტამდე ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის დაწესებულების მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2025 წლის 3,4,5 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და აისახა დასკვნაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტის თქმით, GIPA-ში დანერგილი ელექტრონული სისტემა „potral.gipa.ge“ – წარმოადგენს თანამედროვე, ინტეგრირებულ ციფრულ პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და დოკუმენტების სრულყოფილ, ეფექტურ და გამჭვირვალე მართვას. სისტემა აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესების მართვის ეფექტიანობას და ხარისხს. სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრული ციკლის მართვას: მათ შორის სტუდენტების დამატებას, მონაცემების რედაქტირებას, სტატუსების (შეჩერება/მობილობა/აღდგენა/შეწყვეტა/კვალიფიკაციის მინიჭება) კონტროლს და შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებების ასახვას. სტუდენტის პირად გვერდზე თავმოყრილია პირადი ინფორმაცია, სწავლის შედეგების ყველა მტკიცებულება, სასწავლო მასალები, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები, რაც უზრუნველყოფს პროცესის

სრულ გამჭვირვალობას. ელექტრონული სისტემა ასევე მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მართვის ინსტრუმენტებს, მათ შორის პირადი ინფორმაციის აღრიცხვას, სასწავლო მოდულების განაწილებას, ტესტური დავალებების შექმნა-რედაქტირებას, ტესტირების პროცესის მართვას და თითოეული სტუდენტის შეფასების შედეგების დაფიქსირებას. ინტეგრირებული შეტყობინების მექანიზმი უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე, რაც ზრდის ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების კოორდინაციას. გარდა სწავლების პროცესის მართვისა, სისტემა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დასაქმებულ პერსონალს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან, ჩამოტვირთონ ცნობა სწავლების/მათ შორის შეფასებების და მუშაობის შესახებ, ასევე მიიღონ ინფორმაცია ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიდგომებს, პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიან ადმინისტრაციულ მენეჯმენტს, სრულად პასუხობს ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნებს. სისტემა მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ციფრული ინსტრუმენტები ინტეგრირდეს სასწავლო პროცესში, გაიზარდოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა და გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული მართვის ეფექტიანობა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:
1.2.1.3 – სასურველია სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებად მითითებულ იქნას ყველა შესაბამისი დეპარტამენტი ან სამსახური, რომლის ფუნქციები და მანდატი უკავშირდება კონკრეტულ ამოცანებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების კოორდინირებას და პასუხისმგებლობების სწორ განაწილებას.
სასურველია სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყოს გაზომვადი და ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს აქტივობების დასრულებულად განსაზღვრას, ეფექტიან მონიტორინგს და შეფასების სიზუსტის ზრდას.

II სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:
შენიშვნა: რეკომენდაციები ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.4.1.1 – სასურველია პროფესიული განათლების დეპარტამენტმა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, ერთობლივ სტანდარტიზაციას და ხარისხის გაუმჯობესებას.
შენიშვნა: რეკომენდაცია ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე: „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი და „ენერგომენეჯმენტი“
2.4.1.5 – მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მეღვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, საავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ GIPA-ს მისია ეფუძნება თავისუფლების იდეალებს, დემოკრატიულ ღირებულებებსა და ლიდერობის განვითარებას. ის სრულად პასუხობს

პროფესიული განათლების მიზნებს – მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრები. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების სისტემურ როლს ქვეყნის განვითარებაში და მის სწრაფვას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ.

ექსპერტმა მიმოიხილა 2024-2030 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავების ოთხეტაპიანი პროცესი, რომელიც მოიცავდა SWOT-ანალიზს და დაინტერესებული მხარეების (ადმინისტრაცია, სტუდენტები, პარტნიორები, ექსპერტები) ფართო ჩართულობას. გამოიკვეთა ხუთი სტრატეგიული მიმართულება, რომელთაგან მეხუთე უშუალოდ პროფესიული განათლების კომპონენტს ეხება.

დაწესებულებაში მოქმედებს მონიტორინგის ჯგუფები. სტრატეგიული გეგმის შეფასება ხდება 3 წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გეგმის – ყოველწლიურად. აქტივობების შესრულება ფასდება ქულობრივი სისტემით (40%-მდე – დაბალი, 40-70% – საშუალო, 70-100% – მაღალი). ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმაში, პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დაემატოს ის სტრუქტურული ერთეულები (HR, ფინანსური, იურიდიული სამსახურები და სხვ.), რომლებიც რეალურად მონაწილეობენ აქტივობების შესრულებაში. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ შესრულების ინდიკატორები იყოს უფრო მეტად გაზომვადი და დაეფუძნოს რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებს მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ექსპერტებმა შეისწავლეს სტუდენტთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები (მათ შორის არასრულწლოვანთა შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა) და დაადასტურეს, რომ პროცედურები (ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, მობილობა) დაცულია. ფუნქციონირებს „სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი“. პროფესიულ სტუდენტებს ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს პროგრამის კოორდინატორი. სწავლის დაწყებისას ტარდება გაცნობითი შეხვედრები. 2025 წლის კვლევის თანახმად, გამოკითხულ სტუდენტთა 91.6% მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცულია. ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებებმაც დაადასტურა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მაღალი კმაყოფილება.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის როლს ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზებაში. აღინიშნა, რომ პროფესიული პროგრამის სტუდენტები აკადემიური პროგრამების სტუდენტებთან თანასწორად სარგებლობენ ყველა რესურსით, მათ შორის: ფუნქციონირებს კინოკლუბი, თეატრალური დასი, ქართული ცეკვის ანსამბლი, ჭადრაკის, გარემოს დაცვისა და საჯარო გამოსვლების კლუბები. 2011 წლიდან დაწესებულება აფინანსებს დოკუმენტური ფილმების ფესტივალს. ტარდება ინტელექტუალური თამაშები და სპორტული ტურნირები.

ექსპერტმა მიმოიხილა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები: 2024 წელს გამართულ ფორუმში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა დამსაქმებელმა. დაწესებულებას აქვს ვაკანსიების მართვის ეფექტური ციფრული სისტემა, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომს ხდის მიმდინარე შეთავაზებებს. 2025 წლის კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულთა 87% დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მოქმედი სტუდენტების 62.5% ასევე დასაქმებულია, რასაც ხელს უწყობს მოქნილი სასწავლო განრიგი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული განათლების დეპარტამენტი, რომელიც კურირებს პროგრამების განხორციელებას. ადმინისტრაციული და ხარისხის მართვის პროცესებში ჩართულია უნივერსიტეტის ცენტრალური სამსახურები (HR, ფინანსური, იურიდიული და სხვ.).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახური ახორციელებს პროცესების მუდმივ მონიტორინგს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მოქმედებს პერსონალის შეფასების ოთხბალიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც თვითშეფასებას, ისე უშუალო ხელმძღვანელის შეფასებას.

ახალი თანამშრომლებისთვის მოქმედებს ადაპტაციისა და გამოსაცდელი ვადის (6 თვე) მექანიზმი. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ბიუჯეტი პერსონალის ტრენინგებისთვის. 2025 წელს განხორციელდა სწავლების თანამედროვე მეთოდების, ციფრული სერვისებისა და სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგ-მოდულები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევს სამოქმედო გეგმაში მრავალი სტრუქტურული ერთეულის მითითება პასუხისმგებლობის გადანაწილებას (დიფუზიას) და მონიტორინგის შეფერხებას. ალინა კუპრავამ განმარტა, რომ რეკომენდაციის მიზანია რეალურად შესრულებული სამუშაოს ასახვა. ვინაიდან ცენტრალური სამსახურები (მაგ: HR) აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული განათლების კადრების მართვაში, მათი, როგორც ჩართული მხარის, დაფიქსირება გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას და აღიარებს მათ წვლილს.
თავმჯდომარემ დასვა კითხვა, ხომ არ მიუთითებს არაგაზომვადი ინდიკატორები ხარისხის მართვის სისტემის სისუსტეზე. ექსპერტმა განმარტა, რომ ეს უფრო ტექნიკური ხასიათის ხარვეზია, ვიდრე სისტემური სისუსტე. დაწესებულება რეალურად ახორციელებს აქტივობებს და ანგარიშგების ეტაპზე დეტალურადაც აღწერს მათ, თუმცა რეკომენდაცია მიმართულია იქითკენ, რომ დაგეგმვის ეტაპზევე განისაზღვროს ზუსტი რაოდენობრივი მაჩვენებლები (მაგ: ხელშეკრულებების კონკრეტული რაოდენობა), რაც გაამარტივებს მონიტორინგის პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით კუპატაძემ საბჭოს გააცნო მეხუთე სტანდარტის შეფასების შედეგები. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სტანდარტის ყველა კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი №22ა-ში. იჯარით აღებული შენობის საერთო ფართი შეადგენს 5000 კვ.მ-ს, საიდანაც პროფესიული სწავლებისთვის გამოყოფილია 563 კვ.მ. საიჯარო ხელშეკრულება ძალაშია 2034 წლის 31 აგვისტომდე. შენობის მე-2 და მე-3 სართულებზე განთავსებულია კეთილმოწყობილი სასწავლო (A, B, C გარემო), ადმინისტრაციული და დამხმარე სივრცეები (ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, შეხვედრების ოთახები, სტუდენტთა შემოქმედებითი სივრცე). შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები). დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის სისტემები. შრომის უსაფრთხოების სამსახური დაკომპლექტებულია სერტიფიცირებული სპეციალისტებით, რომლებიც მართავენ რისკებს კანონმდებლობის შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოება შეესაბამება ნორმებს (არსებობს სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი, საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები). დაწესებულებაში მოქმედებს დაცვისა და ვიდეო-მონიტორინგის სისტემა (ჩანაწერების შენახვის 30-დღიანი ვადით).
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად, დასკვნის პროექტში ინდიკატორი 5.1.2.1 შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან 2019 წლის ექსპერტიზის დასკვნა შეიცავდა შენიშვნას სეისმურ ნორმებთან დაკავშირებით. თუმცა, დაწესებულებამ 2026 წლის 13 იანვარს, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა ახალი, კომპეტენტური ორგანოს მიერ, გაცემული ინსპექტირების დასკვნა, რომლითაც დადასტურდა შენობის ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობა. აღნიშნული არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, შეფასება შეიცვალა და განისაზღვრა როგორც, „შეესაბამება“.
სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მარაგდება ნედლეულითა და მასალებით. IT ინფრასტრუქტურა გამართულია, მოქმედებს ორი დამოუკიდებელი ქსელი (ადმინისტრაციული და სტუდენტური), ელექტრონული მართვის პორტალი და შიდა საკომუნიკაციო სისტემა. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების

(Wi-Fi სიჩქარე, ინტერაქციული სწავლება) საპასუხოდ, ადმინისტრაციამ გაატარა შესაბამისი ზომები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკითა და ელექტრონული კატალოგით.
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა დამტკიცებულია; ოფიცერი ანგარიშვალდებულია რექტორთან. საქმისწარმოება (ელექტრონული და მატერიალური) და „ემისის“ (EMIS) ბაზების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულყოფილ ასახვას.
დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი (gipa.ge) არის ინფორმაციული და შეიცავს ყველა საჭირო მონაცემს (მისია, სტრუქტურა, პროგრამების კატალოგი, სამართლებრივი აქტები, სტრატეგიული გეგმები). აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, TikTok) სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის.
GIPA წარმოადგენს არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს (ა(ა)იპ), შესაბამისად, შემოსავლები (სწავლის საფასური, გრანტები, ტრენინგები, იჯარა) სრულად ხმარდება საგანმანათლებლო მიზნებს. 2025-2026 სასწავლო წლის ბიუჯეტი ადეკვატურია და ითვალისწინებს სტრატეგიული ამოცანების შესრულებას. ფინანსური მდგრადობა მოწმდება შიდა და გარე აუდიტის მეშვეობით, ხოლო ყოველწლიური ანგარიშგება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მეორე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაწესებულებაში ამ ეტაპზე ხორციელდება სამი პროფესიული პროგრამა: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, განახლებადი ენერგიის მენეჯმენტი, ენერგომენეჯმენტი. სამივე პროგრამა ხორციელდება თბილისში (რუსთავის გზატკეცილი №22ა), არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით და კოოპერაციული სწავლების მეთოდით (რეალურ სამუშაო გარემოში). პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და ცვლილების პროცედურები გაწერილია შიდა მარეგულირებელ წესებში და შეესაბამება კანონმდებლობას. პროგრამები დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით. დაშვების წინაპირობები და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით და უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალური რესურსებით (A, B, AC ტიპის გარემო). პროგრამებს ჰყავთ დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები და კვალიფიციური მასწავლებლები. გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები შშმ და სსსმ პირთათვის. თუმცა, პრაქტიკული საჭიროება ჯერ არ დამდგარა.
სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე მეთოდებით (პრეზენტაცია, დემონსტრირება, კეთება). კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კალენდარული გეგმები შეესაბამება მოდულების თემატიკას, თუმცა ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია: შემუშავდეს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები, რათა მასში უფრო დეტალურად აისახოს მრავალფეროვანი აქტივობები და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტი, რაც რეალურად ხორციელდება პრაქტიკაში.
შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.
ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია (2024-2025 წლების შედეგები წარმოდგენილია). შედეგები ფორმდება უწყისით ელექტრონულ ბაზაში. მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით.

"შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროგრამის დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა პრაქტიკული კომპონენტის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების მნიშვნელობას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 12 პარტნიორ კომპანიასთან სხვადასხვა სექტორიდან (გარემოს დაცვა, მშენებლობა და სხვ.), სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტთა მისაღები კვოტები.

ალინა კუპრავამ დაადასტურა პრაქტიკის ობიექტების მაღალი ხარისხი და ინსტრუქტორთა კვალიფიკაცია. აღნიშნა, რომ პრაქტიკის დღიურები და შემაჯამებელი ანგარიშები სრულყოფილად ასახავს სტუდენტთა მიერ გავლილ პროცესს.

„განახლებადი ენერგიების მენეჯმენტისა“ და “ენერგომენეჯმენტის“ პროგრამების დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ აღნიშნა დაწესებულების მნიშვნელოვანი პროგრესი ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერგიების მიმართულებით. ხაზი გაუსვა ბიბლიოთეკის სამეცნიერო დონესა და სტუდენტების აშკარა ტრანსფორმაციას სწავლის პროცესში.

უმაღლესი განათლების ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ არ ფიქსირდება რესურსების გადაფარვა აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს შორის. მატერიალური და ადამიანური რესურსი მკაფიოდ არის გამიჯნული, რაც გამორიცხავს ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის რისკს.

ექსპერტმა დავით კუპატაძემ წარმოადგინა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური დახასიათება. აღინიშნა, რომ სამივე პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

ექსპერტ დავით კუპატაძის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ფარგლებში, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო: AC გარემო (აუდიტორია N213), A გარემო (აუდიტორია N214 და N202), სადაც სასწავლო ადგილების რაოდენობა თითოეულში შეადგენს 32-ს. ასევე, პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია B გარემო (აუდიტორია N207 – 32 ადგილით), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით, და C გარემო (აუდიტორია N205), რომელიც უზრუნველყოფილია მოდულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.

შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ერთდროულად სწავლებისას (ერთ ცვლაში) 4 ჯგუფის გათვალისწინებით განსაზღვრულია 64 სტუდენტით, ხოლო ორ ცვლაში ჯამურად 128 პროფესიული სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს სწავლებას რეალურ სამუშაო გარემოში. ამ მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან (მაგ: შპს „ექსპერტს ფორ სოლუშენს“, შპს „ჯეო სეიფთი“, შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“ და სხვა), რაც ჯამურად ფარავს მოთხოვნილ კვოტას და უზრუნველყოფს სტუდენტთა წვდომას საჭირო მატერიალურ რესურსებთან.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 44 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 29 პირი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია, ხოლო 14 – ზოგადი მოდულების. პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონულად (PORTAL.GIPA.GE), რაც დადასტურდა ინტერვიუებისა და სისტემის დათვალიერების შედეგად.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განვითარების რეკომენდაცია, რომლის თანახმად, პროფესიული განათლების დეპარტამენტმა უნდა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები, რათა კალენდარული გეგმები უფრო დეტალურად ასახავდეს სასწავლო აქტივობებსა და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. მასალების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდა დაწესებულების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ყოველივე

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა პროგრამისთვის განისაზღვრა 128 სტუდენტით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ განხორციელებისათვის დაწესებულებას გააჩნია სათანადო მატერიალური ბაზა. კერძოდ, გამოყოფილია A გარემო (თეორიული სწავლებისათვის – 32 ადგილი), B გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია N207 – 32 კომპიუტერითა და ინტერნეტით) და C გარემო (32 ადგილი), რომელიც აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სპეციფიკური მატერიალური რესურსით. დაწესებულების მეთოდოლოგიით, სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს 2 ცვლაში, ერთდროულად არაუმეტეს 3 ჯგუფისა, რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვოტას.

პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით (რეალურ სამუშაო გარემოში), რისთვისაც გაფორმებულია მემორანდუმები დარგის წამყვან ორგანიზაციებთან, მათ შორის: შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“, შპს „ენგურჰესი“ და სხვა. პარტნიორი ობიექტების ჯამური გამტარიანობა მნიშვნელოვნად აღემატება სტუდენტთა მოთხოვნილ რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის მაღალ ხარისხს.

ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს პროგრამის შემუშავების პროცესში USAID-ის პროგრამის მხარდაჭერა და ენერგეტიკის სექტორული რუკის გამოყენება. პროგრამაში ინტეგრირებულია თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტი (AI) და დარგობრივი ციფრული ხელსაწყოები. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად (PORTAL.GIPA.GE), ისე მატერიალურად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი (16 პროფესიული და 19 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროფესიული განათლების დეპარტამენტმა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების სტანდარტიზებული მეთოდოლოგია;
- პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, სასურველია პრაქტიკის ობიექტების არეალის გაფართოება ისეთ სექტორებში, როგორიცაა მედიცინა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა, კლიმატის ცვლილებისა და ენერგოეფექტურობის მიზნებიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა პროგრამისთვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ განისაზღვრა 96 პროფესიული სტუდენტით კოოპერაციული სწავლების ფორმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ენერგომენეჯმენტი“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგომენეჯმენტი“ განხორციელებისათვის დაწესებულებას გააჩნია სრულყოფილი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა შემუშავდა USAID-ის პროგრამის – „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ – მხარდაჭერით. შრომის ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ ენერგეტიკის სექტორში ვაკანსიების 25% შეუვსებელია, ხოლო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოში. პროგრამა პირდაპირ პასუხობს „საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიას“, რაც გულისხმობს

ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტის მქონე კადრების მომზადებას. ეს არის სრულიად ახალი კვალიფიკაცია პროფესიულ სივრცეში, რომელიც დარგის ექსპერტებისა და „ენერგეტიკის დუოს“ ჩართულობით შეიქმნა.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტის ბაზაზე გამოყოფილია შემდეგი სასწავლო გარემო:

- A გარემო: თეორიული სწავლების აუდიტორია 32 სასწავლო ადგილით, აღჭურვილი პროექტორითა და კომპიუტერით.
- AC გარემო: მულტიფუნქციური აუდიტორია 32 ადგილით, სადაც შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება.
- B გარემო (აუდიტორია N207): კომპიუტერული ლაბორატორია 32 სამუშაო ადგილით, სადაც ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და აქვს წვდომა ინტერნეტთან.

დაწესებულების მეთოდოლოგიით, სწავლება შესაძლებელია ორ ცვლაში, ერთდროულად არაუმეტეს 3 ჯგუფის დატვირთვით (თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 32 სტუდენტი).
პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას პრაქტიკის ობიექტებთან. გაფორმებულია ხელშეკრულებები 9 წამყვან ორგანიზაციასთან, მათ შორის: შპს „ოპტიმალ გრუპი +“, სს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „სიბიდი დეველოპმენტი“, ასევე, მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენლებთან. პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს სასწავლო ვიზიტებს, სადაც სტუდენტები რეალურ გარემოში ეცნობიან ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და მენეჯერულ პრაქტიკას.
პროგრამას ახორციელებს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 13 დარგობრივი მოდულების სპეციალისტია, ხოლო 18 – ზოგადი მოდულების. პერსონალის დატვირთვა ოპტიმალურია და არ აღემატება კვირაში 40 საათს. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ვალიდური და სანდო ინსტრუმენტებით, რაც დასტურდება შიდა ვერიფიკაციის 2024-2025 წლების ანგარიშებით.
ჯგუფის მიერ გაიცა განვითარების რეკომენდაცია კალენდარული გეგმების მეთოდოლოგიის დახვეწის შესახებ. ასევე, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტების არეალის გაფართოების თაობაზე ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი (საზღვაო, საავიაციო) და ლოგისტიკური ცენტრები, რათა მოხდეს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლადი დარგების ენერგოეფექტური მართვის უზრუნველყოფა.
პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა პროგრამისთვის „ენერგომენეჯმენტი“ 96 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში, კოოპერაციული სწავლების ფორმით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ – ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, ა(ა) იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ს/კ: 204429341) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. ა(ა) იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 6).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას No4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას No4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას No4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას No4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	იმიტირებული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	13
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	192
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	26
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დ/ხულო, შავაძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	12
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	128
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ენერგომენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146